საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვაშაკიძე ლარისა კონსტანტინეს ასული

ვაშაკიძე ლარისა კონსტანტინეს ასული (დ. 6. I. 1935, თბილისი), სწავლული აგრონომი. სოფ. მეურნ. მეცნ. დოქტორი (2006), ბიოლ. მეცნ. კანდიდატი (1965). 1957 დაამთავრა საქართვ. სას.-სამ. ინ-ტი. 1958-იდან მუშაობდა საქართვ. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნ.-კვლ. ინ-ტში. 1993-2003 იყო ციტოგენეტიკის ლაბორ. გამგე. 2006-იდან არის ვაზისა და ხეხილის გენოფონდის კვლევისა და გენეტიკა-სელექციის განყ-ბის მთავარი მეცნიერი თანამშრომელი. ვ-ის შრომებში შესწავლილია ვაზის ადგილობრივი ჯიშები; მორფო, ციტოგე-ნეტიკურად და ციტოემბრიოლოგიურად გამოკვლეულია ქართ. გენოტიპები, ველური და გაველურებული ფორმები; შედგენილია ჯიშების იდენტიფიკაციის ტესტ-სისტემა; შემუშავებულია ფუნქციურად მდედრობითი ვაზისა და თვითსტერილური ხეხილის ჯიშებისათვის უკეთესი დამამტვრიანებლების შერჩევის მოდელი; შესწავლილია სასელექციო მასალის მიღების კანონზომიერებანი და სხვ. ვ-ის თანაავტორობით მიღებულია ვაზის 1 კლონი და ატმის 15 ინდუცირებული ფორმა. ავტორია მრავალი სამეცნ. ნაშრომისა (მ. შ. 1 სახელმძღვანელო, 1 მონოგრაფია, 3 გამოგონება). დაჯილდოებულია აკად. ნ. ი. ვავილოვის მედლით (1987) და ღირსების ორდენით (2013).

თხზ.: ვაზის ქართული გენოტიპების იდენტიფიკაციისა და ზოგიერთი ფიტოტექნიკური ღონისძიების ოპტიმიზაციის მეცნიერული საფუძვლები, თბ., 2006.